ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5954379

ნომერი: AR1898857

თარიღი : 19.05.2022

გაცემის თარიღი : 25.05.2022

გაცნობის თარიღი : 27.05.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით გურამიშვილის გამზირი, N 8ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მჭედლიშვილი პ/ნ 01007001686
- წერეთლის გამზირი 71, ბ.24

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2022 წლის 19 მაისის №AR1898857 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 19 მაისს №AR1898857 განცხადებით მომართა გიორგი მჭედლიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2018 წლის 25 იანვრის

№3790664 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 25 იანვრის №3790664 ბრძანებით №01.12.08.037.093 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, კომერციული) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2018 წლის 07 თებერვლის №3810515 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 07 თებერვლიდან 2022 წლის 07 თებერვლის ჩათვლით.
განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2018 წლის 25 იანვრის №3790664 ბრძანებით შეთანხმებულ 0.00 ნიშნულის გეგმის ჩანაცვლებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ მოთხოვნა არ არის დაკონკრეტებული და წარმოდგენილია მხოლოდ 0.00 ნიშნულის გეგმა. წარმოდგენილ 0.00 ნიშნულის გეგმაზე შეთანხმებულთან მიმართებით შეცვლილია გეგმარება. ასევე, 0.00 ნიშნულის გეგმაზე კომერციულ ფართობში შეყვანილია კოლონების და შახტების ფართობები. ამასთან, გეგმებზე არ არის დატანილი კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი სრულად. საჭიროა, კიბის უჯრედის ფართობი დატანილ იქნას სრულად (კიბის საფეხურების ჩათვლით). ასევე, +52.00 ნიშნულის გეგმაზე („ა“ ბლოკის გადახურვის გეგმა) საერთოდ არ არის დატანილი კიბის უჯრედის ფართობი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დაავალოს განმცხადებელს წარმოადგინოს განახლებული დოკუმენტაცია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ვბრძანებ:
1. დაევალოს განმცხადებელს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში:
1.1. დააზუსტოს მოთხოვნა სამსახურის 2018 წლის 25 იანვრის №3790664 ბრძანებაში დაფიქსირებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
1.2. წარმოადგინოს სამსახურის 2018 წლის 25 იანვრის №3790664 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური გეგმები (გეგმარების შეცვლის გარეშე), შესწორებული ფართობების დატანით.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2022 წლის 19 მაისის №AR1898857 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.